თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. თელავი 2022 წლის 23 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** ცხოველთა დაცვის ფედერაციის წევრი **ლალი კბილაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა და მოსახლეობის გამოკითხვა მიუსაფარი ძაღლების პრობლემასთან დაკავშირებით შედეგების გაცნობა

   მომხს თ. ხანჯალიაშვილი

2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის 2021-2022-ის საფუძველზე ახალი გეგმის შემუშავების რეკომენდაციების შემუშავების შესახებ მსჯელობა

   მომხს თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა და მოსახლეობის გამოკითხვა მიუსაფარი ძაღლების პრობლემასთან დაკავშირებით შედეგების გაცნობა

მომხსენებელმა, თ. ხანჯალიაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო პროექტის ძირითადი ასპექტები და ასევე, მიუსაფარი ძაღლების პრობლემასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ „კახეთის სამოქალაქო ლიგა" ჩაატარა 2022 წლის მარტის პირველ ნახევარში.

აზრი გამოთქვეს: ალექსი ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ გვექნება ისეთი პროექტი, სადაც ძირეულად აღწერილი იქნება პრობლემა და მისი ფინანსურად დასაბუთებული გადაჭრის გზები, შესაძლებელი გახდება დონორებთან პრობლემის წარდგენა და დაფინანსების მოძიება.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ მერიამ, შესაძლებლობის ფარგლებში, გადაჭრის სისტემური გზების მოძიებამდე, მოახდინოს თანხის გამოყოფა მიუსაფარი ძაღლების კვებისთვის.

გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ დასაზუსტებელია მუნიციპალიტეტში არსებული უპატრონო და პატრონიანი ძაღლების რაოდენობა.

ცხოველთა დაცვის ფედერაციის წევრმა ლალი კბილაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არის უამრავი უპატრონო ძაღლი, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, საჭიროა თავშესაფრის აშენება.

გადაწყვიტეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ პროექტი და კომისიის წევრების მოსაზრებები გადაგზავნილი იქნას მერიაში.

მოისმინეს 2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის 2021-2022-ის საფუძველზე ახალი გეგმის შემუშავების რეკომენდაციების მომზადების შესახებ მსჯელობა

აზრი გამოთქვეს: **ალექსი ძულიაშვილმა** აღნიშნა, რომ ახალი გეგმის შემუშავებისას გავითვალისწინოთ წინა გეგმაში არსებული ხარვეზები.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა შეისწავლონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა 2021-2022-ი და მის საფუძველზე მოამზადონ წერილობითი მოსაზრებები ახალი გეგმის გაუმჯობესების და ასევე, სამუშაო ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე: თინათინ ხანჯალიაშვილი